საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1 „24" ივლისი 2017 წ.

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მოსამართლის მიერ პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების თაობაზე

საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისა.

თანამდებობრივი შეუთავსებლობის პრინციპიდან საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი გამონაკლისი არ მოქმედებს შეუზღუდავად. სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები უშვებს მოსამართლის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვანი შესრულების პირობით პედაგოგიური ან სხვა საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას, თუ ის შეთავსებადია მოსამართლის თანამდებობის მაღალ სტატუსთან და არანაირად არ აფერხებს მის მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულებას. მოსამართლის სტატუტის შესახებ ევროპული ქარტიის მიხედვით, მოსამართლეთა თავისუფლება განახორციელონ ნებისმიერი საქმიანობა მათი სამოსამართლო უფლებამოსილების გარეთ, არ შეიძლება შეიზღუდოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საქმიანობა შეუთავსებელია მოსამართლის წინაშე განსახილველად წარდგენილი საკითხების გონივრულ ვადაში გადაწყვეტის მოთხოვნასთან. ანალოგიური რეგულირებაა მოცემული საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესებშიც. კერძოდ, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, მოსამართლე არ შეიძლება ეწეოდეს რაიმე ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო ან შემოქმედებითი საქმიანობისა, თუ იგი ხელს არ უშლის სამოსამართლო უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელებას.

საერთო სასამართლოებში შემოსულ საქმეთა რაოდენობის ზრდის ფონზე გაზრდილია მოსამართლეთა წარმოებაში არსებულ საქმეთა რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება, საქმეთა განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილება, პროცესის ეკონომიურობა, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენს მართლმსაჯულების ხარისხზე, თითოეული მათგანის დაცვა კი სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტურად სარგებლობის უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიეცეთ რეკომენდაცია საერთო სასამართლოს მოსამართლეებს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა განახორციელონ არასამუშაო საათებში. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება მითითებული საქმიანობის იუსტიციის უმაღლეს სკოლაში განხორციელების შემთხვევაში.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი